

## პროტოკოლი

### რა შემთხვევაში გადის სასწრაფო

1. სასწრაფო გადის იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს აღენიშნება ტემპერატურა  $38,8^{\circ}\text{C}$  ან მეტი და რომელიმე, ჩამოთვლილ ჩივილთაგან ერთ-ერთი:

- ხველა, ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, გამონადენი ცხვირიდან/ცხვირის გაჭედულობა, კუნთების, სახსრების ტკივილი და დიარეა.

და ამასთან, პაციენტი აუცილებლად უნდა მიეკუთვნებოდეს ქვემოთ მოცემული **რისკის** **ჯგუფიდან** რომელიმეს:

- 65 წელი და მეტი;
- ორსული;
- მშობიარობის შემდგომი პერიოდი 2 კვირა;
- თანმხლები ქრონიკული მდგომარეობები: ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, გულის დაავადებები, დიაბეტი, იმუნოსუპრესიული მდგომარეობები (ქიმიოთერაპიაზე მყოფი ან 30 დღის უკან დასრულებული ქიმიოთერაპიის კურსი, აივ-ინფიცირებული), დიალიზზე მყოფი პირი.

2. სასწრაფო გადის ყველა იმ შემთხვევაში თუ ტემპერატურასთან (არ აქვს მნიშვნელობა რამდენი აქვს ტემპერატურა) ერთად გამოხატულია ქვემოთ ჩამოთვლილი **გართულებებიდან** ერთ-ერთი:

- მრავალჯერადი ღებინება (ორი და მეტი);
- დაბინდული ცნობიერება (მივარდნილია);
- ქოშინი მოსვენებულ მდგომარეობაში (ფიზიკური აქტივობის გარეშე);
- კრუნჩხვა.

3. სასწრაფო გადის ყველა იმ შემთხვევაში სადაც ინიციატორი აცხადებს, რომ აღენიშნება:

ვირუსული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები: ტემპერატურა (არ აქვს მნიშვნელობა ტემპერატურა რამდენია) და დამატებული მწვავე რესპირატორული დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომებიდან ერთ-ერთი - ყელის ტკივილი, სურდო, ხველება, სუნთქვის გაძნელება და გამოკითხვის შედეგად ადასტურებენ რომ იმყოფებოდა (პაციენტი) უცხო ქვეყანაში **ბოლო 14 დღის განმავლობაში**, ასევე, ადასტურებენ კონტაქტს იმ პირებთან, რომლებსაც უკვე დაუდგინდათ კორონა ვირუსი.

4. სასწრაფო გადის ყველა იმ შემთხვევაში თუ გამოძახება ხდება ქუჩაში/დაწესებულებაში.

5. სასწრაფო გადის თუ პაციენტი არის უცხოენოვანი ან 5 წლის და 5 წელზე ნაკლები.

## რა შემთხვევაში გადაეცემა გამოძახება ოჯახის ექიმს

- ოჯახის ექიმს გადაეცემა იმ შემთხვევაში** თუ პაციენტს აღენიშნება ტემპერატურა 38,8 ან ნაკლები და რომელიმე, ჩამოთვლილ ჩივილთაგან ერთ-ერთი: ხველა, ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, გამონადენი ცხვირიდან/ცხვირის გაჭედულობა, კუნთების, სახსრების ტკივილი და დიარეა - მიუხედავად იმისა, რომ პაციენტი მიეკუთვნება ქვემოთ მოცემული **რისკის ჯგუფიდან** რომელიმეს:
  - 65 წელი და მეტი;
  - ორსული;
  - მშობიარობის შემდგომი პერიოდი 2 კვირა;
  - თანმხლები ქრონიკული მდგომარეობები: ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, გულის დაავადებები, დიაბეტი, იმუნოსუპრესიული მდგომარეობები (ქიმიოთერაპიაზე მყოფი ან 30 დღის უკან დასრულებული ქიმიოთერაპიის კურსი, აივ-ინფიცირებული), დიალიზზე მყოფი პირი.
- ოჯახის ექიმს გადაეცემა იმ შემთხვევაში** თუ პაციენტს აღენიშნება ტემპერატურა (არ აქვს მნიშვნელობა ტემპერატურა რამდენი აქვს) და/ან თან ახლავს ხველა, ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, გამონადენი ცხვირიდან/ცხვირის გაჭედულობა, კუნთების, სახსრების ტკივილი და დიარეა.

მაგრამ, პაციენტი არ მიეკუთვნება რისკის ჯგუფს და არ აღენიშნება ქვემოთ ჩამოთვლილი **გართულებებიდან** რომელიმე:

  - მრავალჯერადი ღებინება;
  - დაბინდული ცნობიერება (მივარდნილია);
  - ქოშინი მოსვენებულ მდგომარეობაში(ფიზიკური აქტივობის გარეშე);
  - კრუნჩხვა.
- ოჯახის ექიმს გადაეცემა იმ შემთხვევაში** თუ პაციენტს აღენიშნება მხოლოდ ტემპერატურა (**38,8°C** ან ნაკლები), არა აქვს გულმკერდის არეში ტკივილი, მუცლის ტკივილი, ჭვალი და ა.შ.
- ოჯახის ექიმს გადაეცემა**, როდესაც მოქალაქეს არ ესაჭიროება სასწრაფოს გამოძახება და ითხოვენ მხოლოდ ოჯახის ექიმის კონსულტაციას, ვამისამართებთ მხოლოდ ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომების შემთხვევაში და არა გული, მუცლის ტკივილი, ჭვალი და ა.შ. ასევე ისეთ საკონსულტაციო ტიპის შეტყობინებას, როდესაც მოქალაქეს ესაჭიროება კონსულტაცია კორონა ვირუსთან დაკავშირებით.

25.03.2020-ის 19:00 სთ-იდან ყველა უცხო ქვეყანა შედის რისკ ქვეყნების ჯგუფში.